№ 123
ოთხშაბათი, 14 ივნისი 1895

1877—1895

ივერია

№ 123
ოთხშაბათი, 14 ივნისი 1895

ГАЗЕТИ ДИРА:

	მან.	კ.		მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	70
9 . . .	8	—	3 . . .	3	55
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ГАЗЕТИНЪ ДЛЯ ПОДПИСКИ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

«ივერიის» რედაქციისაგან:
ვისაც სურს, რომ პირველ იულისიდგან გაზეთის გაზავნა არ მოესთხოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხელი ფული ივლისისაგე პირველ რიცხვამდე.

კაბინეტი კბილს ექიმთა
ბ. ი. პიპინაძისა და ძ-ნის ძს. დ.
ილარიონოვისა.
მიბიელ. ქუჩა, სახლი კოაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ბდა საღამოს 4—7 საათამდე.

ტფილისი, 14 ივნისი.

—

გუშინ დეპეშამ გვაცნობა ძლიერ საყურადღებო ამბავი: როზბერის სამინისტრო სამსახურიდგან გადამდგარა და სამინისტრო უნდა შეადგინოს კონსერვატორთა წინამძღოლმა სოლსბერიმ.

ლიბერალთა სამინისტრო სრულიად უბრალო შემთხვევამ დასცა. დეპუტატს ბროდრიკს წინადადება წარუდგენია პარლამენტისათვის, რომ საბუღრო მინისტრის ჯამაგირს ასი გირვანქა სტერლინგი მოაკლდესო. დეპუტატმა განაცხადა, რომ ამ წინადადებით ჰსურს პროტესტი განუცხადოს სამხედრო მინისტრს, რადგანაც სამხედრო უწყებას საკმაო და კარგის თვისების თოფის წამალი და სხვა საჭირო მასალა არა აქვსო. ბროდრიკის წინადადება პარლამენტმა 132 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 125 ხმისა შეიწყნარა. ამის გამო სამინისტრომ შებღალულად სცნო თვისდამი ნდობა ისეთს არსებითს საგანში, როგორიც არის სამხედრო საქმე და სამსახურს თავი დაანება.

ახლად გადამდგარი სამინისტრო შესდგა 1892 წელს უკანასკნელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ამ არჩევნებზედ ლიბერალებს და ირლანდიის ორს დასს ხვდა უმრავლესობა 42 ხმისა და კონსერვატორთა სამინისტრომ ადგილი დაუთმო გლადსტონის სამინისტროს. გლადსტონის სამინისტრომ აღუთქვა ინგლისს რამდენიმე შესანიშნავის რეფორმების მოხდენა. ეს რეფორმები გლადსტონმა აღნიშნა თვისს შესანიშნავს სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ქალაქ ნიუკესტლს. «ნიუკესტლის პროგრამა», როგორც ვთქვით, შეიცავდა დიდს ლიბერალურს რეფორმებს: აგრარული რეფორმა ირლანდიისათვის, ვალისის ეკკლესიის განცალკევება სახელმწიფოდგან, გაუმჯობესება და გაძლიერება მუშათა შესახებ კანონმდებლობისა, შევსება და გაუმჯობესება საარჩევანო კანონისა, გაძლიერება ადგილობრივ თვით-მმართველობისა და სხვა. მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავი რეფორმა, რომელის ასრულება იკისრა გლადსტონმა, იყო—ირლანდიისთვის სრულის თვითმმართველობის მინიჭება. საკვირველს მეცადინეობით შეუდგა ახალი სამინისტრო პირობის აღსრულებას და ზოგიერთი პროექტი კიდეც განახორციელა. განსაკუთრებული გრძოლა გასწია სამინისტრომ ირლანდიის თვით-მმართველობის კანონ-პროექტის გამო. კონსერვატორები და გადამდგარი ლიბერალები (უნიონისტები) სოლსბერის და ბალფურის წინამძღოლობით მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობას, მაგრამ „დიდის მოხუცის“ საკვირველმა და სამგალითო ენერგიამ ძლია ყოველი დაბრკოლება და პარლამენტმა ჰმარული შეიწყნარა. აღსრულდა მრავალ ტანჯულის ირლანდიის ერის კარგა ხნის სურვილი და ინგლისის ლიბერალთა წადილიც! მაგრამ მათს აღტაცებას მალე ბოლო მოუღო ლორდთა პარლამენტმა. ლორდები წინააღუდგნენ კანონ-პროექტს და უარ-ჰყვეს გლადსტონისტების ჰმარული. ირლანდია და ინგლისის საზოგადოების უმეტესობა დიდად აღელვა ლორდების მოქმედებამ და ბევრგან გაიმართა დიდი მიტინგები, რომელნიც თხოულობდნენ არა თუ ლორდთა უფლების შეზღუდვა-შემცირებას, არამედ ლორდთა პარლამენტის სრულიად მოსპობასაც. ლიბერალთა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება საზოგადო ღაღადს და შეუდგა ახალის კანონის შემუშავებას, რომლითა ლორდთა პარლამენტის უფლება უნდა შემცირებულიყო.

ამასობაში მოხუცს გლადსტონსაც უმტყუნა ღონემ და შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე იძულებულ შეიქმნა თავი დაენებებია სამსახურისათვის. მისი ადგილი დაიჭირა ახალგაზდა მოღვაწემ ლორდმა როზბერიმ, რომელიც გარეშე საქმეთა მინისტრად იყო გლადსტონის კაბინეტში და რომლის ნიჭსა დიდებული მოხუცი ძლიერ აფასებდა. მეტად ძნელსა და სახიფათო დროს დაიწყო ახალმა მთავარ-მინისტრმა თვისი მოღვაწეობა. შორეულს აღმოსავლეთში გამწვარებული ბრძოლა იყო ამ დროს გაჩაღებული ორის მონგოლთა ერის შორის. ევროპა ამ ომში მტკიცე ნეიტრალიტეტს არ ასცდენია, მაგრამ გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს აღმოსავლეთის საქმეებს. დასრულდა ომი. ძლევამოსილი იაპონია ჯ დამარცხებული ჩინეთი სიმონოსეკის ხელშეკრულობით მორიგდნენ. რუსეთი, შეშინებული იაპონის გაძლიერებით, წინააღუდგა სიმონოსეკის ზავის ზოგიერთ მუხლებს, როგორც თვისის ინტერესების შემბღალველთა და მოითხოვა მათი შეცვლა. რუსეთის მხარე დაიკავეს საფრანგეთმა და გერმანიამ: ხოლო ინგლისი, თუმცა თანაუგრძნობდა გამარჯვებულს და ამიერიდგან რუსეთის მტერს იაპონიასა, მაგრამ აქტიური მონაწილეობა დიპლომატურს ომში არ მიიღო. რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის შეერთებულ დიპლომატიამ გაიმარჯვა და იაპონიამ დასთმო ლიატონგის ნახევარ-კუნძული. ეს თითქმის პირველი მაგალითია, რომ ინგლისის მხრით მონაწილეობის მიუღებლად გათავებულიყოს ასეთი დიდი საქმე. საქმე დასრულდა სწორედ ინგლისის იმედისა და სურვილის წინააღმდეგ და ცხადი იყო, რომ ინგლისმა შორეულს აღმოსავლეთში ზნეობრივი დამარცხება ნახა. ინგლისის საზოგადოება მეტად აღელვა ამ გარემოებამ და შეშფოთებულმა მთავრობამ ინგლისის სახელის აღდგენისათვის ხელზედ დაიხვია სომხეთის საქმე ოსმალეთში, რათა ან რუსეთი გაება მახეში, ან საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის კავშირი უმაყოფილების ჩამოგდებით დაირღვევინა ანა და სხვათა დაუკითხავად გარდაეწყვიტა სომხეთის საქმე. ჯერ-ჯერობით ინგლისის პოლიტიკა ამ საქმეშიაც ვერ ჩაითვლება გამარჯვებულად, რადგანაც სამმა სახელმწიფომ აქაც ერთად დაიწყო მოქმედება. გარეშე საქმეთა ამგვარმა მიმართულებამ ლიბერალთა სამინისტროს წინააღმდეგ დიდი უკმაყოფილება დაჰბადა ინგლისში; უკმაყოფილება დღითი-დღე ძლიერდებოდა და საქმე იქამდისაც მივიდა, რომ გლადსტონის დიდებულს სახელსაც უპატიურად ხსენება დაუწყეს...

შესაძლებელია, რომ უკანასკნელი კენჭის ყრა და სამინისტროსთვის პროტესტის გამოცხადება უკაბედად მოხდა, მაგრამ ეკვი არ უნდა ვიქონოთ, რომ ლიბერალთა კაბინეტის დღეები ისედაც დათვლილი იყო, რადგანაც ინგლისის ერი ძნელად-თუ აპატიებს თვისს მთავრობას გარეშე საქმეებში დამარცხებას...

თუ გუშინდელის დეპეშის სიტყვა გამართლდა და კაბინეტის შედგენა ვიქტორიამ სოლსბერის მიანდო, უნდა ვიფიქროთ, რომ კონსერვატორთა კაბინეტი თავ-და-პირველად პარლამენტს დაითხოვს და ახალს არჩევნებს დანიშნავს, რადგანაც ახლანდელს პარლამენტში უმეტესობა, თუმცა ძლიერ შეკიცრებული, მაგრამ მაინც ლიბერალებს ეკუთვნის. ინგლისის ერის ნამდვილ განზრახვა-სურვილს ეტყვის ახალი არჩევნები.

ფელეტონი

***

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვეოდა იასა,
ზამბახსაც გაჰვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.
ტროლოლა მაღალს ღრუბლებში
ზეცრილ-ზეცრილითა ჰგალობდა,
ბულბულიც, გრძნობით აღსილი,
ნაზს ხმით ამას ამბობდა:
—„აჰყავედი, ტურფა ქვეყანავ,
ლილინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
„სამშობლო გაახარეო“!

ი. ჯ—შვილი.

„Madame Sans-Gêne“ *).

(მადამ სან-ჟენ)

ოთხ-მოქმედებანი კომედია
ვ. სარდუსი და მოროსი.

მოქმედება პირველი.
(პროლოგის მაგიერი).

მომქმედნი პირნი პირველს მოქმედებაში:

კატრინ იუბშე, მრეცხელი.
ლეფებვრ, სერჟანტი.
ფუშე.
გრაფი ნეიპერ.
ტუანონ
ლარუსსოტ } მრეცხელნი.
ჟული
ვინეგრ, მედოლე.
მატიე, პატარა ბიჭი.
გვარდიელნი, მოქალაქენი.

მოქმედება სწარმოებს პარისში 1792 წ. 10 აგვისტოს.

(სუფთა და ნათელი ოთახი მრეცხელისა, სენტენის ქუჩაზედ. შუაზედ დიდი შუა-ბანდიანი კარები, გვერდებზედ სარკმლები. მარჯვნით, სიღრმეში კიბე, ზეკით სართულში ასასვლელად. კიბეზედ სარეცხი ჭკიდია. ეოველგან მრეცხველისათვის საჭირო საგნებია. მარჯვნით, წინ ეზოში გასასვლელი კარებია. მარცხნით, წინ კატრინის საწოლი ოთახის კარები. მარცხნით, სიღრმეში ბუხარი უთოს გასახურებლად. ორი მაგიდა—ერთი დიდი მარჯვნით, მეორე პატარა მარცხნით—საყარძლები და სკამები).

გამოსვლა პირველი.

მრეცხელნი: ტუანონ, ლარუსსოტ და ჟული მუშაობენ—ზოგი აუთოვებს, ზოგი აღილავებს სარეცხს. შუაბანდიანი კარები ღიაა, მოსრნის ქუჩა, ქუჩაზედ დიდი მოძრაობაა—

ლარუსსოტ. იქ იყავით?

ფუშე. მე? ვიყავი! (მაგიდაზედ დასდებს ქოდგას, ქუდს და რაღაც ტომარას).

ჟველანი. მოჰყევით... მოჰყევით!..

ფუშე. ოოჰ... ცუდად არის საქმე, ცუდად.

ჟველანი. რას ამბობთ?

ფუშე. ჩვენ წაგაგეთ... მოიტანეთ აბა ჩქარა ჩემი სარეცხი... თუ მზად არ არის, გაურეცხელი იყოს... უნდა ჩავალაგო!! (ჟველი ეძღვის სარეცხს, ფუშე აწყობს ტომარაში).

ლარუსსოტ. მაშ თქვენ გაქცევას აპირებთ?

ფუშე. გაქცევას? რა სულელური სიტყვაა, გაქცევას-კი არა და წასვლას ვაპირებ!

ტუანონ. საქმე მართლა ცუდად ყოფილა... როგორ იყო?.. რატომ არ გვიამბობთ?

ჟველანი. სთქვით... სთქვით!..

ფუშე. ჯერ ვფიქრობდით, რომ გამარჯვება ჩვენია... მაგრამ...

ჟული. თქვენც ომში ერიეთ?..

ფუშე. მაშ, მაშ!.. ე. ი. მე შორიდამ ვუყურდი... ვნახოთ, შეეცარიელ მეომართ დაგვშინეს და მოგვაყოლეს ტყვია... ისეთი ჯოჯოხეთური სროლა შეიქნა, რომ ზარბაზები მივატოვეთ...

ჟველანი. ოჰ, ოჰ, ოჰ!..

ფუშე. და უკან დავიწიეთ! (რაღაც სარეცხზედ) ეს ჩემი არ არის (ჯადაგდებს) კატრინ კიდევ არ დაბრუნებულა? (ქუჩაზედ მოძრაობაა... ქალები შუა კარებისკენ მიბრუნდნენ).

ჟული. კატრინ, კატრინ... მოდის, მორბის...

გამოსვლა 3

იგინივე და კატრინ.

(შემორბის კაბალითით ხელში, თმა აბურძგნული, დაფაფალი ეტენა სავარძლიდან ჟველანი შემოეკვეთენ კარს).

ჟული. მადლობა ღმერთს!

ლარუსსოტ. სად იყავით?.. რა შეში გამოგვარონინეთ!..

კატრინ. ახ, შვილებო... დაიცათ, ერთი სული მოვთქვა... ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ამბავიაა!..

ლარუსსოტ. აქ იყავით?

კატრინ. გასაკვირველია!

ჟული. საშიშარი ამბავია?

კატრინ. საშინელებაა!..

ლარუსსოტ. რა დაინახეთ?

კატრინ. სრულიად არაფერი!..

ფუშე. მაშ რა ხდება იქა?..

კატრინ. მე რა ვიცი! განა მაგისი მცხელოდა, რომ ყველაფერი დამენახა! სენ-ნიკელის ქუჩაზედ მივდიოდი, ვხედავ, დგანან თოფებით. მოგაყვირეს: „გაბრუნდი, თორემ ტყვიებს ჩაგაყლაპებთო“, მაგრამ არ შემშინებია... და მივდივარ... მიველ

ხვათა და სურვილთ მხოლოდ მოსალოდნელი არჩევნები გაგვიმეღვნებენ, მაგრამ საკვირველი არა იქნება-რა, თუ ინგლისი, რომელსაც შინაური რეფორმების იმედები ნახევრად გაუმტყუნდა და გარეშე პოლიტიკაშიც ჩვეულებრივად ხერხველარ ნახა, პარლამენტში კონსერვატორთა უმრავლესობას გაგზავნის!

კონსერვატორების მიერ ინგლისის მმართველობის ხელში ჩაგდება უეჭველია შეაჩერებს შინაურ საქმეებში დემოკრატულ პროგრესიულს მიმართულებას, ხოლო მოსალოდნელია, რომ გარეშე პოლიტიკას უფრო მხნეთ, მეტის გამბედაობით, შორს გამჭვრეტელობით აწარმოვებს და გამარჯვებას ჩვეულის დიდ ბრიტანეთის სახელს კვლავინდებურად აღამაღლებს.

ლალ.

ახალი ამბავი

—

*** გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი წუხელ, 9 საათზედ წავიდა სუფსის სადგურზედ, საიდგანაც ფაეტონით ჩავა ფოთში. მინისტრმა ადგილობრივ უნდა დათვალიეროს იმ არხის პროექტი, რომელიც შეაერთებს სუფსასა და რიონს. ფოთში მინისტრი ნავთსადგურს დათვალიერებს და გასინჯავს ყველა პროექტებს, რომელნაც შეეხება ფოთის ნავთსადგურის გაფართოებას. ფოთიდგან მინისტრი ნაშუადღევს წავა სახელმწიფო გემით „ერიკლიკ“-ით, რომელიც ფოთში ეცლის. იმავე საღამოს სოხუმს დათვალიერებს, და ხუთშაბათს დილას ტუფსეს მივა იქაურ ნავთსადგურის საქმის გარდასაწყვეტად.

*** ამ თვის 15-ს მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ლ. შერემეტევი მიდის საზაფხულოდ წყლებზედ პიატიგორსკსა და კისლოვოდსკში.

*** ფიგბასთა მინისტრს ვიტტეს ავგისტოში ბორჯომში მოელიან.

*** ცნობილი მწერალი შპილგაგენი თავისს ცოლით ტფილისში ჩამოვიდა.

*** ტფილისის მეორე საქალებო გიმნაზიაში წელს 22 მოწაფე-ქალმა გაათავა კურსი. მათ შორის სამი ქართველია: ელ. პატაშვილისა, ო. სულხანიშვილისა და თამ. ჩიჩავაძისა. უკანასკნელი ოქროს მედალით იქმნა დაჯილდოვებული.

*** ტფილისის დედათა ეპარხიალურს სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა 14 მოწაფემ; ამათში 11 ქართველია ᲥᲕᲠᲣᲚᲘ: ბათიევია ეფროსინე, ლაშაურავიანი ბარბარე, ძანსვეტოვისა ოლგა, ბალარჯოვისა ელენე, ბურჯანაძისა ანნა, გარსიევისა ანნა, გვასალია ანნა, ჯინორიძისა ელისაბედ, ივანოვისა ოლგა, მაპავარიანისა მარიამი, ნიკოლაევისა ნადეჟდა პარკაია ნინა, სიჩინავა მინდორია და ხრისტოვსკაია ნადეჟდა.

პირველის ხარისხის ჯილდო მიუსაჯეს: ივანოვისას, ლაშაურავისასა და გარსიევისას. მეორე ხარისხისა: ხრისტოვსკაისს, ნიკოლაევისას და ბალარჯოვისას. ყველა მოწაფეებს დაურიგეს მშვენიერის ყდით მოკაზმული ახალის აღთქმის წიგნები. დღეს, 14 ამ თვისას, დილის 11 საათზედ, გარდახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი, რომლის შემდეგ სწავლადთავარებულ ქალებს დაურიგდებათ მასწავლებლობის ატესტატები.

*** ჩვენში ხშირად შეეხვდებით ხოლმე ირუსალიმიდგან, თუ სხვა უცხო ადგილების ეკლესიებიდგან და მონასტრებიდგან ჩამოსულებს, რომელნიც შესწირავს ჭირებენ და თან ხატებს, ან წმიდანების ნაწილებს ჰყიდიან. უწმიდესს სინოდს საჭიროდ უცვნია, რომ ესეთი ვაჭრობა არ უნდა სწარმოებდეს რუსეთის სახელმწიფოში, რადგან უცხოეთიდგან ჩამოსულები ამ წმიდა ნივთებს თავისთან ატარებენ სასტუროებში თუ სხვა ადგილებში, სადაც ისინი ბინად დგებიან, როცა ჩამოვლენ ხოლმე და ხშირად მოჯდება, რომ წესითა და რიგით ვერ ინახავენ ამ ნივთებს, რის გამოც ამის მაყურებელ ქრისტიანეთ სასოება ეკარგებათ წმიდა ნივთებისაო. სინოდმა უცხო ქვეყნიდგან მოსულებს ამიტომაც აღუკრძალა ამ ნივთებით ვაჭრობა და ეს თავისი განკარგულება ეპარქიის უფროსებს აცნობა.

ტფილისის გუბერნატორმა, რომელსაც ეს განკარგულება აცნობა მთავრობამ, თავის მხრით ბრძანება გამოსცა, რომ თუ ამ საქმის შესახებ სასულიერო მთავრობამ საჭიროდ დაინახოს პოლიციაში მოსამსახურეთა დახმარება, ყოველივე შემწეობა აღმოუჩინონ პოლიციაში მოსამსახურე მოხელეთაო.

*** კახეთის რკინის გზის გამო სატახტო ქალაქის გაზეთები ამბობენ, რომ რუსეთში დაარსებულ ათ მილიონ ფონდის ფულიდგან გასაყვანად, რუსეთთან შემაერთებელ რკინის გზებისა გადადებული იყო თანხა კახეთის რკინის გზის გასაყვანად, მაგრამ ჯერ-ჯერობით კახეთის რკინის გზა ვერ იქნება გაყვანილი, რადგანაც ის ადგილები, რომელზედაც რკინის გზამ უნდა გაიაროს, არ არის გამოკვლეული, თუმცა კახეთის რკინის გზას ჯეროვანი შემოსავალი ექნებაო.

*** ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკში ქალაქის ადგილთა საჯაროთ ვაჭრობა 24 ივნისს მოხდება, ხოლო სოფლებისა 26 ივნისს.

*** სოფ. აწყურში, თელავის მაზრაში, როგორც გვაცნობინებენ, საქონლის ავადმყოფობა გაჩენილა—თურქული.

*** ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენს

შარტრის გადასახვევთან... აქ-კი მარსელის ჯარი იდგა... ერთი იმათგანი, ახმახი, უზარმაზარი ვიღაც მომძახის: „ხედავთ ამ ცუგრუმელას... თავის კეფას გადაიცლიან აქ... სად მიძვრები?.. სად მიძვრები“?.. „სადაც მსურს იქა-მეთქი“! მოდი და უყურე ამას, როგორ გვიპასუხო“! მომხვია ხელი, ამიყვანა, ერთი მაგრად მაკოცა კისერში და გადამისროლა მეორესაკენ... ამნაც მწ..მწ..მწ... და გადამისროლა მესამესაკენ... და როგორც ბერთი, ისე მისროდნენ... მთელმა ჯარმა თითოეულად გადამკოცნა! ძლივს თავი დავაღწიე, ისე შემაშინეს, რომ თვალებიც ვერავის გამოვკაწრე... იმ ავაზაკების ხელში ჩავარდნას მერჩია ზარაზნის ტეზინად გაჩერება... მკოცნიან ის საძაგლები და თან თამბაქოს და არაყის სუნით გამბარუეს (ᲣᲯᲐᲚᲐᲜ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ).

ᲥᲣᲨᲐ. ხედავთ, რა მოხდა იქა...

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. საქმე ჩინებულად მიდის. აქეთკენ რომ მოვდიოდი, შვეიცარიელებმა შესწყვეტეს სროლა, ტყვეა წამიღი შემოაკლდათ!..

ᲥᲣᲨᲐ... ოჰოო!..

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. მე მხოლოდ იმის მეშინია, ჩემი ლეტენანტი თუ იქ არის? ის ყოველთვის იქით მიაშურებს, სადაც უფრო საშიშარია, (ᲖᲐᲠᲐᲖᲜᲘᲡ ᲮᲛᲐ).

ᲥᲣᲨᲐᲜᲘᲜ. (მიარბენს კარებთან), აი ჩვენებიც მოდიან, ჩვენები! (ᲯᲯᲔᲚᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲡ მაშურებენ, ᲥᲣᲨᲐᲖᲔ ᲒᲐᲯᲔᲯᲐᲜᲘ ᲛᲘᲯᲓᲐᲠᲜᲐ).

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ-კი გარეკლას აპირებენ იქ, რაც ძველია, უვარგისია, რაღას ვუცდით?.. აბა, ჩქარა, მიჰყავთ საქმეს ხელი! წაიღეთ სარეცხი გაჰფინეთ?

ᲢᲣᲐᲜᲘᲜ. ᲓᲘᲐᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲫᲐᲯᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ! (ᲒᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲪᲮᲘ).

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. (ᲓᲘᲐᲠᲑᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲐᲮᲜᲘᲗ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲡᲐᲠᲔᲪᲮᲘᲡ) წაუღე ეს მოელინის ქუჩაზედ აფიცარს საცვალი არა აქვს! (ᲩᲣᲛᲐᲓ) ფულს ნუ მოსთხოვ, დავუცადოთ.

ᲚᲐᲠᲐᲣᲡᲚᲘᲗᲘ. მესმის! (ᲒᲐᲮᲓᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ).

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. მატიე!

ᲛᲐᲢᲘᲔ. (ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲖᲔᲓ ᲨᲔᲛᲝᲮᲢᲣᲑᲐ) რა ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ?

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. თუ კაი ბიჭი ხარ, გაიქეცი კოლერის ქუჩაზედ და იკითხე—იქ არის თუ არა სერჟანტი ლეტენანტი. რომ დაბრუნდები ვაშლს დაგახვევრდ.

ᲛᲐᲢᲘᲔ. (ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲯᲐᲮᲢᲔᲑᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ) კარგი!

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. დაიცა! თუ იქ არის, უთხარ აქ მოვიდეს ეხლავ—თუ არა და იკითხე, რა იქნა!..

ᲛᲐᲢᲘᲔ. ᲫᲐᲯᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ! (ᲒᲐᲠᲑᲘᲡ მარგსნით).

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. არ დაგავიწყდეს: სერჟანტი ლეტენერ!

ᲛᲐᲢᲘᲔ. (ᲨᲔᲠᲩᲔᲒᲐᲜ) ვიცი, ვიცი!

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. (ᲩᲯᲣᲢᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲡ, ᲨᲣᲜᲯᲠᲔᲑᲡ) ასე სჯობია, ქუჩაზედ იმოდგეა ხალხია, რომ მუშაობას არ დამაცლიან!

გამოსვვლა 4

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ და ᲥᲣᲨᲐ.

ᲥᲣᲨᲐ. მაშ აგრეა?!. გიყვართ ის ვვარდიელი?

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. თქვენ კიდევ აქა ხართ? მერე ვინ დამიშლის შევიყვარო ის, ვინც მნებავს!

ᲥᲣᲨᲐ. რასაკვირველია...

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. რაო, თქვენის აზრით, ლეტენერი მახინჯია, სულელი, მშიშარა ვანა? (ᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲒᲓᲐᲡᲗᲐᲜ).

ᲥᲣᲨᲐ. სულაც არა! დიადიც ლაზანია, ჭკვიანი და მამაცი! ამისთან კიდევ თქვენი მეზობელია!

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. (ᲣᲗᲝᲯᲐᲡ ᲐᲛᲜᲐᲯᲔᲑᲡ) დიდ, ორივე ელზასიდგანა ვართ—თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც გავიცანი!..

ᲥᲣᲨᲐ. ᲰᲛ! ამიტომ არის თქვენთან დილიდგან საღამამდის?!..

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. ახირებულია!.. ლეტენერი გულ-ახდილად მეარშიყება... აქ დასამალი არ არის-რა!

ᲥᲣᲨᲐ. ეს ძალიან კარგი, მაგრამ მთელს უბანს მოედო ჭორი...

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. ძალიან არ მენაღვლება? რაც უნდათ, ისა სთქვან! მე პატიოსანი ქალი ვარ, ლეტენერმა ეგ იცის და სხვას რას დავდგევ!!

ᲥᲣᲨᲐ. მერე როდისღა გინდათ იქორწინოთ?

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. უთუოდ მალე, თუ თვითონ არ ჩაფუშა საქმე (ᲐᲣᲗᲝᲯᲡ).

ᲥᲣᲨᲐ. ესე იგი?..

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. ვერ წარმოიდგენთ, რა იქვიანია! როგორც გაბრაზებული, ისე ერჩის ყველას!! ამ ორის დღის წინად ლამის გავშორდით ერთმანეთს!.. და მერმე ვის გამო, იცით? თქვენზედ შეიტანა ეჭვი.

ᲥᲣᲨᲐ. როგორ, ჩემზედ აიღო იქვე?!

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. თქვენზედ!. კარგად მაინც დაკვირვებოდა თქვენ ბატის მზგავსს სახეს!! (ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲔᲑᲡ) განა, გიჟი არ არის? კარგი იქნება ახლა რომ ერთად გვნახოს! მართლა, რაღა გნებავთ?...

ᲥᲣᲨᲐ. მე ვუცდი!

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. რას?

ᲥᲣᲨᲐ. ᲢᲣᲚᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ! (ᲮᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲮᲛᲐ).

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. ისა სჯობია, იქ წახვიდეთ და მიეშველოთ!

ᲥᲣᲨᲐ. რათაო? ᲣᲩᲘᲛᲝᲓ ᲓᲐᲬᲧᲔᲡ, თითონვე დაათავონ!

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. (ᲐᲣᲗᲝᲯᲡ) ხედავთ, როგორი ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐᲠᲗ: აქ მღის სულ

გაზეთში ახალ ამბად გვქონდა მოხსენებული, რომ ცხინვალში ორმა ახალგაზდა ყმაწვილმა კაცმა ტომით სომეხთ სასიკვდილოდ დასჭრეს ჯიბის დანებით ერთი-ერთმანეთი. ერთი მათგანი იყო ლევან მურადოვი, მეორე სერგო დიღმუზოვი. მურადოვს სჭირებია ჯვარი დიღმუზოვისა. 7 თიბათვეს მურადოვი ნადვინევი ყოფილა. გაჰხსენებია ჯვარი, მისულა დიღმუზოვის დუქანში ამოღებულის დანით და დაუწყვია ჩხუბი. დიღმუზოვსაც ამოუღია დანა და სცემიან ერთმანეთს. ისე საშინლად დასჭრეს ერთმანეთი, ორივენი იქვე წაიქცნენ. ლ. მურადოვი მეორე დღესვე 11 საათზედ გარდიცვალა. ს. დიღმუზოვი გარდაიცვალა მესამე დღეს, 9 ივნისს, 10 საათზედ.

*** ფოთი: 12 ივნისს, ნაშუადღევს სამის ნახევარზედ, ლოკომოტივების სინჯვის დროს მატარებლის ქვეშ ჩავარდა ფლორიან პეტრეს ძე კრუნოვსკი და ძლიერ დაშავდა. მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** ახალ-სენაკი: ახალ-სენაკსა და ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲨᲣᲐ მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია, რადგანაც რიონი ადიდდა და 16—17 ვერსით წალეკა მიდამო.

*** ᲒᲐᲜᲯᲐᲗᲐ: შამქორი ძლიერ ადიდდა. რკინის გზის ხიდი. დღე და ღამ მუშები ახვევია და ქვებსა ჰყრიან წყალში, რომ ადიდებულმა წყალმა ხიდები არ დასძრას.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.

—

ᲘᲐᲜᲗᲘᲗᲘ, (ᲥᲣᲗ. ᲛᲐᲖᲠᲐ). უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები დაეხიაო, სწორედ ჩვენ სოფელზედ არის ნათქვამი. მართალია ჩვენს სოფელს ეშმაკები და ქაჯები არ დაჰსევია, მაგრამ სამაგიეროდ ყვავილი (რომელსაც აქ დიდ ბატონებს ეძახიან) და წითელა ისე დაერია ხალხს, რომ მუსრს ავლებს. მგონი ოჯახი არ

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ, რომ ერთი ბავშვი არ ემსხვერპლოს. ბევრგან-კი მთელი ოჯახი ამოსწყვიტა.

ამას ეხლა რაღაც ავადმყოფობა მოემატა, რომელსაც თათრის ჭირს ეძახიან (ავადმყოფს შავად აყრის და ჰკლავს); ამან უარესი დღე დაიყენა. ამ კვირაში სამი სული იმსხვერპლა და ავად ხომ ბევრი არის. სიკვდილს გარდა უბედურება ის არის, რომ კარგად მყოფი ავადმყოფის მოვლას უნდება და მუშაობა მისთვის გამცდარი არის, რის გამოც ყანები სანახევროდ დაუთესავად არის დარჩენილი. ასე, რომ ხალხის გაწყვეტას თან შიმშილობა და სიღატაკე უნდა მოჰყვეს. საკვირველია ღმერთმანი ისეთ სოფელს, როგორიც იანეთია (ირგვლივ ქალაქები ახლავს) ერთი გულ-შემატკივარი არავინ გაუჩნდა. ორი თვეა, რაც ეს ხალხის გამანადგურებელი სენი მძვინვარებს და მომხედავი-კი არავინ არის: არც ექიმი და არც უბრალო დამრიგებელი, რომელმაც მაინც აუხსნას ხალხს თუ ყვავილიანს როგორ მოუგონონ. აქ დარიგება დარჩენიათ მხოლოდ სამოც-ოთხმოც წლიან დედაკაცებს, რომლებს მოქმედებთ ხალხი ხდება ბსნეულპლი ხსენებულის სენისა.

მე ვიყავი ერთის ყვავილით ავადმყოფის ოჯახში. ავადმყოფს ყვავილი ისე მოდებული ჰქონდა, რომ თვალებში ვერ იხედებოდა,—მეტი-მეტი სიცხე ჰქონდა. მის გვერდით სტოლზედ ეყარა დამჭკნარი ყვავილები, დამცხვარი ხაჭაპურები, (რომელსაც ხმიადს ეძახიან) სხვა-და-სხვა ნივთები, წყალი, ღვინო, ყველი და ნადუღი. ეს ხორაგიოცის დღის მოგროვილი სრულებით დამშალი იქაურობას სწამლავდა თავისს სუნით. მე ვუთხარი ავადმყოფის მომვლელს, რომ ის ხორაგი გადაეყარა, ოთახი გაესუფთავებინა და ავადმყოფისათვის ხინა ეძლიათ და აგრეთვე სუბუქი საქმელი, რძე, ბულიონი და სხვა. ჩემ დარიგებაზედ ერთმა ხნიერმა დედაკაცმა მითხრა:

ᲘᲛᲐ ᲒᲐᲘᲫᲐᲮᲔᲗᲘ: „ᲩᲥᲐᲠᲐ ᲒᲐᲡᲬᲘᲗ ᲬᲘᲜ“ და ახლა, როცა საქმე გასჭირდა, შინისაგან აღარა ხართ? ერთი გამაგებინეთ, ძარღვებში სისხლი გაქვთ თუ რა,?

ᲥᲣᲨᲐ. რასაკვირველია მაქვს, მაგრამ სწორედ იმდენი, რამდენიც ჩემთვის საკმარისია!.. აბა, რისთვის უნდა გამოვიკლო ეს ძვირფასი მასალა?

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. ოჰ—რა მხდალი ხართ!.

ᲥᲣᲨᲐ. ჩემო მეკობარო, ყველას თავ-თავისი გზა აქვს! ზოგნი იმისათვის არიან ქვეყნიერობაზედ, რომ იომონ...

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. და ზოგნი-კი იმისათვის, რომ მეომართა მოქმედებით ისარგებლონ!!

ᲥᲣᲨᲐ. არც ეგრეა... არიან მეომარნი და არიან საქმის გამომწყობნი, ორგანიზატორები, აი მე ამათს რაზმს ვეკუთვნი!

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. მერე, სასარგებლოა ეგ თქვენი ხელობა?.

ᲥᲣᲨᲐ. ᲯᲔᲠ არა, მაგრამ შემდეგში-კი იმედი მაქვს...

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. მაშ, ყველაფერი ეს არევ-დარევა თქვენდა სასიამოვნოდ ხოლდა?

ᲥᲣᲨᲐ. შეიძლება!..

ᲙᲐᲢᲠᲘᲜ. ვინ იცის, იქნება მინისტრობაც გერგოს ახალს მმართველობაში?

ელო, ნუ იტყვი მაგისთანებს, ბა-ონები გაჯავრდებაო; აი ეხლაც ეუ-ნა ბატონებს, რამე ს

მასალად ამბობენ: „ჩემი შვილი სკოლაში ვერას იძენსო“. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბლეხი სტუდენტის მასწავლებელთან და ჯრა მასწავლებელი ბლეხთან.

ამასთანავე დიდად შემცდარი ბრძანდებით, ბოდბისხეველებს რომ წინ აყენებთ მაჩხაანელებზედ. 1) ს. მაჩხაანში უფრო მეტი სკოლოვრეს ნასწავლი და სამღვდელო; 2) შეძლებით ბევრად დაწინაურებულნი არიან ბოდბისხეველებზედ. თუნდ შინაური უძრავ-მოძრავი ქონება არა ვსთქვათ, რასაც მაჩხანელები მინდვრიდგან დალას აიღებენ, ბოდბისხევში იმდენი კაცი არ მოიპოვება.

რასაკვირველია ბ-ნს მაჩხანელს ჰმართებს ამისთანა ხალხში გახალისდეს და ყველაფერი გაკეთოს, და თანამგრძნობლებიც ჰყვანან. აბა, ბ-ნო ხოსიტაშვილო, მასწავლებელმა რა ჰქმნას მარტომ, თუ ეულელის გამწვეც არ ეყოლება, რომელიც ერთი განათლებული კაცი არ იპოვება ბოდბისხევში?

ერთი სიტყვით, ვთავებ და კიდევ ამას მოგახსენებთ, ბ-ნო ხოსიტაშვილო, თქვენი შენიშვნა სრულიად არა მტკიცდება არაფრით...

ბოდბისხევის მასწ. ი. ჯალიაშვილი.

95 წ. 5 ივნისი,
ს. ბოდბისხევი.

უცხოეთი

იაპონია. ეხლა-ხან გამოქვეყნებულ იაპონიის მთავრობის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1893 წლის 31 დეკემბერს 382,329 ოთხ-კუთხ კილომ. ყოფილა 41,388,315 მცხოვრები. საშუალო რიცხვით თითო ოთხ-კუთხ კილომ. 108 მცხოვრები მოდის. ყველაზედ ხშირად დასახლებულია პროვინცია ოსოკა; ოთხ-კუთხ კილომ. აქ 691 მცხოვრები მოდის, ხოლო ხოკკაიდოში, ჩრდილოეთ იაპონიაში, ოთხ-კუთხ კილომ. სულ 4 სული სცხოვრობს. უცხოელნი ბევრნი არ სცხოვრობენ იაპონიაში, —სულ 9633, ამათში ჩინელია 5,353, ინგლისელი 1,787 და 430 გერმანელი. ათასს სულში მხოლოდ 8,66 იწერს ჯვარს და 2,66 იყრება ჯვრის წერის შემდეგ, ე. ი. სამში ერთი მეკორწინე ისევ იყრება. ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ იაპონიაში ძალიან ადვილია ცოლ-ქმართა გაყრა; ამას ხელ უწყობს აგრეთვე კონფუცის სწავლა. ზემოხსენებულ ფილოსოფოსის აზრით ცოლ-ქმართა გაყრა სასურველიც არის, თუ რომ სამის წლის შემდეგ ჯვრისწერა უნაყოფო გამოდგება. იაპონიაში ითვლება ქალი 20. 481,848 და 20. 906,465 კაცი; მაგრამ ქალთა სიმრავლის მიუხედავად გაუთხოვარი ქალი ძალიან ცოტა რჩება. სინტერესოა აგრეთვე ის, თუ სხვა-დასხვა სამუშაოს რა ფასი აქვს იაპონიაში. ყველაზედ უკეთესს ფასს იღებენ ევროპიელ ტანისამოსის მკერვალნი. დღეში 0,49 იენს (იენი თითქმის მანეთს უდრის) იღებენ. მკერვალებს შემდეგ კარგს ფასს იღებენ ქვის მთლელები, დურგლები, მჭედლები და სხვანი, რომელნიც დღეში 0, 29—დგან 0,36 იენამდის იღებენ დღეში. ასოთ-ამწყობები ძალიან მცირე ფასს იღებენ სამუშაოში, —დღეში 0,29 იენს, მაგრამ ყველაზედ ნაკლებს ფასს იღებენ მინდვრად მომუშავენი—კაცები 0,19-სა და ქალები 0,12 იენს. ძალიან კარგს ფასს იღებენ შედარებით აბრეშუმეულობის ფაბრიკებში მომუშავენი, ხარჯს გარდა კაცები 4,83 იენს იღებენ, ხოლო ქალები 3,30 იენს თვიურად, სამუშაო დღე 12-დგან 16 ს საათს შეადგენს და რადგანაც იაპონიაში კვირა დღეები არ იცინ, წლის განმავლობაში 350 სამუშაო დღეა. სწორედ ეს მუშის სიიაფე და ხელოვნებაა მიზეზი, რომ იაპონიის ნაწარმოები ასე დიდს კონკურენციას უწევს ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის საქონელს. 1884 წელს იაპონიას 66.141,044 იენისა რამ უვაჭრია უცხო ქვეყნებში, ხოლო 1893 წელს 179.775,247 იენისა. იაპონიას უმეტეს ნაწილად სამხედრო გემები და მასალა შემოაქვს სხვა სახელმწიფოებიდგან, მაგრამ ესეც რომ გამოვაკლოთ, აღმოჩნდება, რომ იაპონიას მუდამ წელს საქონელი 15-დგან 20 მილ. იენისა მეტი გაეაქეს, ვიდრე სხვაგნიდგან შემოაქვს.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

ბახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. II წიგნი ქართული. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა. ტფილისი, 1895 წ. ბრასსეს მიერ გამოცემული გეოგრაფია საქართველოსი, შედგენილი ვახუშტისაგან, ჩვენს დროში ძნელად საშოვნელი გახდა და გარდა ამისა სიძვირის გამო ბევრისთვის მიუწვდომელი წადილია აკადემიის გამოცემის შეძენა. კარგია, რომ ახალს გამომცემელს ყურადღება მიუქცევია ვახუშტის გეოგრაფიის ხელთ-ნაწერებისათვის და ამათის მიხედვით შეუსწორებია, საცა საჭიროა, ბრალსეს აღებეული გეოგრაფია. სუფთად და იაფად გამოცემული ახლად გეოგრაფია ვახუშტისა ბევრს მკითხველს მოიპოვებს. წიგნს ბოლოში დართული აქვს „სასწავლები“—სარჩევი გეოგრაფიულის სახელებისა. ერთმა-ორმა მაგალითის მოძებნამ დაგვარწმუნა, რომ ეს სარჩევი სრული არ არის და უკანასკნელს წიგნში ურიგო არ იქნებოდა საერთო სარჩევი დაერთო ბ-ნს გამომცემელს და შეეყნო აქა-იქ შეპარული შეცდომანი. ვარიანტების განხილვასაც უთუოდ უკანასკნელს წიგნში მოაქცევს.

ა. ხახ—შვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

13 ივნისი.

პეტერბურგი, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული 12 ივნისს, საღამოს 9 საათზედ, პეტერგოფში მობრძანდა.

კიელნი, 12 ივნისი. „კიელნის გაზეთს“ ატყობინებენ დეპეშით სოფიიდგან: „შაბათის გაზეთები საგანგებო ცნობათა დამატებაში იუწყებიან, რომ უსკუდის ვილაიეტში რამდენსამე ადგილს მოხდა აჯანყება. ეს ამბავი საგანგებო შეკრიბა მოგვიტანა. ოსმალეთის ჯარსა და აჯანყებულთ ორ დღესა და ღამეს სრული ჰქონიათ. ერთი ოსმალთა სოფელი დასწვესო.

დამატებაში დაბეჭდილია მოწოდება აჯანყებულთა დასახმარებლად. ამ ამბავმა ყველანი დიდად შეაფიქრა.

ლონდონი. გარკორტმა განაცხადა პარლამენტში, რომ კაბინეტმა სამსახურს თავი დაანება და დასძინა, რომ დღევანდელი სამინისტრო ჯერ-ჯერობით ისევ დარჩება, ვიდრე ახალი სამინისტრო შესდგებოდესო. „პარასკევის კენჭის ყრამ პირდაპირ გაჰკიცხა სამხედრო მინისტრის მოქმედებანო,— სთქვა გარკორტმა,— მაშინ როდესაც ჩვენ არასოდეს არ გვყოლია ასეთი ნიჭიერი, საპატიო და გავლენიანი სამხედრო მინისტრიო. კაბინეტი სრულიად ეთანხმება კენჭბალ ბანნერმანს და მისსა და მისის მმართველობის პასუხის მკებლობას სრულიად კისრულობსო.“

ლორდთა პარლამენტში როზბერიმ განაცხადა, რომ სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება.

ყოველს ეშვს გარეშეა, როგორც სჩანს, რომ სოლსბერი ახალის კაბინეტის შედგენას იკისრებს. დილის გაზეთები კონსერვატორ-უნიონისტთა სამინისტროს შედგენის შესახებ ლაპარაკობენ ერთხმად. „ტაიმს“-ის სიტყვათ გარეშე საქმეთა მინისტრად ჭერტოგს დევონშირელს (მარკიზ გარტინგტონი) ასახელებენ, ხაზინის კანცლერად ჩემბერლენსა და ზღვათა მინისტრად გოშენსა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანტოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილამობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სურს: სნეულებანი სახეურურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბანინასა, 10—11 საათ. ანეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ბრატასეგიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბრატასეგიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ბ. ბ. ბურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფ-ის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციანისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგირავის ქვრივის სახლში, № 21, „ევერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ევერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—7)

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ

ᲑᲝᲠᲜᲝ-ᲪᲘᲛᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲘ

Გ. Ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲘᲡᲐ

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყეთილს ლაქებს, ფერის მბამელსა და მეტეტებს, ბგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მადალის ხარისხისა, ეს სპონი იხმარონ.

ᲤᲐᲭᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲚᲘ 1895 Წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისთვის Გ. Ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ აქვს. დეპო ტფილისში აგმეროვთან, კაკეასიონი საოფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცუტრაროვთან, გრიგენკოთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—2—8)

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ



ᲠᲝᲘᲐᲚᲔᲑᲘ



ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲘ

ფეხ-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲙᲘᲡᲣᲠᲡᲢᲘᲡ

მუქთად იგზავნება.

ᲙᲐᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐ, Ბ. Მ. ᲛᲘᲠᲘᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐ,

რომლისაგანაც სამკურნალო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—16)

კარგის დუხების **ᲛᲝᲥᲕᲐᲠᲣᲚᲗ ᲔᲣᲠᲩᲔᲕᲗ:**

ᲓᲣᲮᲔᲑᲘ „ᲡᲐᲤᲝ“-ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲕᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲛᲝᲜᲘᲜᲝ.

ᲡᲐᲞᲝᲜᲘ „ᲡᲐᲤᲝ“-ᲡᲐ—ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲣᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲛᲝᲜᲘᲜᲝ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

Ს. Ე. Ბ. ᲡᲐᲢᲔᲚᲜᲘᲙᲝ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲯᲔᲑᲐᲨᲘ.

(7—1)

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიეწიებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა და უძლურდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნისაზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დაბეჭდება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—9)

Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Іюня 1895 г. სტამბა ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲡ და ᲐᲛᲮᲐᲜᲒᲝᲑᲘᲡ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ